ᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ბრძანება:**ბ78.78213284**

თარიღი:**24/11/2021**

**მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტების და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

| | |
|---|---|
| ლევან შერაზადიშვილი | მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; |
| თამარ ლობჯანიძე | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ვალერიან გობეჯიშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; |
| მანანა ჩაგელიშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; |
| დავით ლებანიძე | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; |
| იზა რეხვიაშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საქმისწარმოების |

| | |
|---|---|
| | განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; |
| მაგდანა მაისურაძე | მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; |
| მარიამ გობეჯიშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; |
| ირმა კობერიძე | მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საქმისწარმოების განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; |

2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის N476 ბრძანება;

3. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს **თამარ ლობჟანიძეს -** მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში; 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი